Europe in my Region|City
September|October|November 2010

სადისკუსიო მრგვალი მაგიდა თემაზე:

“ევროპა ჩემს ქალაქში -
თბილისის კონკურენტული უპირატესობები”
<u>თბილისი, 27 ოქტომბერი, 2010 წელი</u>

- *კონკურენტუნარიანობა*
- *თანამშრომლობა*
- *დაახლოების პოლიტიკა*

თბილისმა წელს პირველად გამოთქვა მზადყოფნა მონაწილეობა მიიღოს 2010 წლის “ევროპის ღია დღეებში“, რომელიც ბრიუსელსა და ევროპის მრავალ ქალაქში ამ შემოდგომაზე მერვედ აღინიშნება. ამის გამო, 2010 წლის 27 ოქტომბერს, თბილისში ჩატარდება სადისკუსიო მრგვალი მაგიდა სახელწოდებით “ევროპა ჩემს ქალაქში: თბილისის კონკურენტული უპირატესობები”.

“2010 წლის ევროპის ღია დღეების” პრიორიტეტებიდან გამომდინარე დისკუსიის წამყვანი თემა იქნება თბილისის კონკურენტუნარიანობა.

ღონისძიების ფარგლებში სტუდენტებს (დოქტორანტებს, მაგისტრანტებსა და III-IV კურსის ბაკალავრებს) თბილისში მოქმედი უნივერსიტეტებიდან შესაძლებლობა მიეცემათ ჩაერთონ ღია დისკუსიაში მრგვალი მაგიდის ირგვლივ და წარმოადგინონ საკუთარი ხედვა თუ რეკომენდაციები თბილისის კონკურენტული უპირატესობების შესახებ ევროპის მასშტაბით. მომხსენებლებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ შემდეგ თემებზე:

- **თბილისის, როგორც ევროპის ნაწილის ფუნქციები**
- **ქალაქის დამკვიდრება საერთაშორისო არენაზე**
- **თბილისის კონკურენტი/პარტნიორი ქალაქების განსაზღვრა**

მონაწილეებმა პრეზენტაციები უნდა წარმოადგინონ PowerPoint-ის ფორმატში. პრეზენტაცია შესაძლოა მომზადდეს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე და მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 7 წუთს.

ღონისძიება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქის ახალი მარკეტინგის სტრატეგიის განხორციელებას, რომელიც ქალაქ თბილისის მერიის მიერ ახლახანს იქნა ინიცირებული.

მრგვალ მაგიდას უმასპინძლებს ქალაქი თბილისი. დისკუსიას წარუძღვებიან: ქალაქ თბილისის მერია, ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლობა საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპის და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში.

ღონისძიების დასკვნით ნაწილში სტუდენტებს გადაეცემათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები და მათი ნაშრომები/პრეზენტაციები "2010 წლის ევროპის ღია დღეების" ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდება.

აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით ოთხშაბათს, 29 სექტემბერს, თსუ მაღლივი კორპუსის 515 აუდიტორიაში, 14:00 საათზე გაიმართება წინა საინფორმაციო შეხვედრა, სადაც ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლები გააკეთებენ პრეზენტაციას ღონისძიების თემატიკისა და ფორმატის შესახებ. შეხვედრა ღია იქნება მრგვალ მაგიდაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთათვის.

<u>დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში (თსუ მაღლივი კორპუსი, ოთახი 602, ტელეფონი: 304149)</u>

OPEN DAYS
8th European Week of Regions and Cities
Brussels 4 - 7 October 2010

Tbilisi
The city that loves you